დამტკიცებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 მაისის №13 დადგენილებით

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის

საგამოცდო ცენტრის დებულება

მუხლი 1. საგამოცდო ცენტრი

1.1. დებულება განსაზღვრავს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერისტეტის (შემდგომში უნივერსიტეტის) საგამოცდო ცენტრის (შემდგომში ცენტრი) ფუნქციებს, საგამოცდო პროცესში ჩართული პირების უფლებამოვალეობებსა და საგამოცდო პროცესის ორგანიზების პირობებსა და წესს.

1.2. დებულება შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

1.3. შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდების ორგანიზებასა და ჩატარებას პროცედურებს განსაზღვრავს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების წესი.

მუხლი 2. საგამოცდო ცენტრის ფუნქცია-მოვალეობები

2.1. საგამოცდო ცენტრის ფუნქციებია:

ა. საგამოცდო პროცესისათვის რელევანტური გარემო ფაქტორების უზრუნველყოფა;

ბ. უნივერსიტეტში შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების მოწყობა, ორგანიზება;

გ. საგამოცდო პროცესის მონიტორინგი, შეფასება და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

დ. საგამოცდო პროცესში მონაწილე პირებისათვის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება;

ე. საგამოცდო საკითხების კონფიდენციალობის დაცვა;

ვ. შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდების მასალების მომზადება გამოცდებამდე ერთი კვირით ადრე;

ზ. გამოცდის დასრულების შემდგომ საგამოცდო ნაშრომების/ტესტების სასწავლო კურსის ხელმძღვანელისთვის გადაცემა;

თ. გამოცდის შედეგების (სტუდენტთა შეფასებების) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში შეტანა;

მუხლი 3. გამოცდების ჩატარების პროცედურები

3.1. სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე პირადი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტით.

3.2. დამკვირვებელი ვალდებულია სტუდენტებს გააცნოს ქცევის წესები და თვალყური ადევნოს საგამოცდო პროცესს.

3.3. გამოცდაზე დაუშვებელია:

ა. ხმაური, გადალაპარაკება, ასევე სხვისი ნაშრომის გამოყენება/გადაწერა;

ბ. სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა გამოცდის პერიოდში;

გ. გამოცდაზე კალკულატორის ან ნაბეჭდი მასალის გამოყენება, გარდა საგამოცდო საკითხით გათვალისწინებულისა; აღნიშნული განისაზღვრება მხოლოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით;

დ. მობილური ტელეფონის, აიპადის, კალკულატორის, სხვა ელექტრონული ხელსაწყოს გამოყენება;

ე. საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო ოთახის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა.

3.4. სტუდენტისათვის მიცემული გაფრთხილების და დამკვირვებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სტუდენტი შესაძლებელია მოიხსნას გამოცდიდან.

3.5. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძველია:

ა. სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების მცდელობა;

ბ. ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედებისქვეშ ყოფნა;

გ. ეთიკური და დისციპლინარული ნორმების უგულებელყოფა;

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1. წინამდებარე დებულება მტკიცდება თჰუ აკადემიური საბჭოს მიერ;

4.2. დებულებაში ცვლილებები და დამატებები შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

4.3. დებულება ძალაში შედის მიღებისთანავე.